ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №47

თარიღი: 03.12.2012

ქ. თბილისი

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის იოსებ ქარსელაძის სახით და, მეორეს მხრივ, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება" ს/კ 226574962 (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი დირექტორის ჯემალ დავითაძე სახით, „სახელმწიფო" შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. ხელშეკრულების საგანი: - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის, ბენზინი „რეგულარი" (ოქტანობა არანაკლებ 92).

3. ხელშკრულების საერთო ღირებულება: 618 ლარი (ექვსას თვრამეტი ლარი) დღგ-ს ჩათვლით. ერთი ლიტრი საწვავის ღირებულება: 2 ლარი და 06 თეთრი რეგულარის შემთხვევაში.

4. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: 300 ლიტრი „რეგულარი" (ოქტანობა არანაკლებ 92).

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. მიმწოდებლის მიერ ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ხელშეკრულების მხარეთა მიერ მათი უფლება-ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. ხელშეკრულება დადებულია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ერთი მიმწოდებელს.

11. **მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსყიდველი
„გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება"
იურიდიული მის.: ქ.გარდაბანი ინდ. 1300 დ. აღმაშენებლის ქ. # 127
ს/კ : 226574962
ბანკი: სს"ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ა: GE80LB0115154067002000

დირექტორის ჯემალ [illegible]

______________________
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი
შპს "სან პეტროლეუმ ჯორჯია"
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000
კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
იოსებ ქარსელაძე

______________________
(ხელმოწერა)